

ხელშეკრულება N35

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ელექტრონული ტენდერი SPA230002661)

ქ. თბილისი

22 იანვარი 2024 წ.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (მის: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. N4, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204584887), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის სერგო ჯანელიძის სახით და

მიმწოდებელი: შპს „ტაინა“ საიდენტიფიკაციო კოდი: 412700536

მისამართი, ტელეფონი: ქ. ქუთაისი, მ. ბუხაიძის ქ. II მ/რ N29 ბ 43 ტელ: 591 143 444

დირექტორი: ვასილი გეთიაშვილი

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში: GE24TB7906936080100004

ორივე ერთად აღიარებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება“ - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „სამუშაო“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიმწოდებლის მიერ SPA230002661 ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული სარემონტო სამუშაოების (CPV- 45400000) შესყიდვა, გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა - **67 784.00 (სამოცდაშვიდი ათას შვიდას ოთხმოცდაოთხი) ლარი.**
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, გარდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მომსახურების ხარჯების ანაზღაურებისა (შემდგომში - „ექსპერტიზის სამსახური“).
- 3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეში**, მისამართზე: ქ. ქუთაისი, პ. იაშვილის ჩიხი II, №4;
- ბ) განახორციელოს მასზე დაკისრებული ვალდებულება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და სრულად.
- გ) წარუდგინოს შემსყიდველს სამუშაოების შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია („ფორმა N2“);
- გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში, განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები, მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
- ვ) სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამშენებლო მოედნის სრული ტერიტორია სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და ნარჩენებისგან, მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გარემოზე გავლენა.
- ზ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვით (შემდგომში „ხარჯთაღრიცხვა“) გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით;
- თ) უზრუნველყოს სამუშაოების მიმდინარეობისას ქვეყანაში არსებული სამუშაოების უსაფრთხოების ნორმების დაცვა. სამუშაოების წარმოებისას დაუდევრობის შედეგად მიყენებული ზიანი უნდა აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით;
- ი) სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი უზრუნველყოს შესაბამისი რესურსით (მათ შორის ადამიანური რესურსით, მექანიზმებით, მოწყობილობებით და მასალით). აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში მდგომარეობის გამოსწორება;
- კ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
- ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
- გ) უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება მიმწოდებლისთვის, ხელშეკრულების პირობებისა და ვადების დაცვით.
- დ) სუს ობიექტზე ჩატარებული სამუშაოების საბოლოო შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია („ფორმა N2“) წარუდგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ და განახორციელოს საფასურის ანგარიშსწორება.

5. განხორციელებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

- 5.1 შესრულებულ სამუშაოზე და გამოსაყენებელ მასალებზე საგარანტიო ვადა განისაზღვრება **3 (სამი) წლის** ვადით მიღება-ჩაბარების დღიდან, შენობის გადახურვაზე გამოყენებულ მასალებზე არანაკლებ **7 წლით**. საგარანტიო პერიოდში, დაზიანების აღმოფხვრა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით, „შემსყიდველის“ მიერ წერილობითი შეტყობინებით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
- 5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული სხვადასხვა მასალები და მოწყობილობები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს დადგენილ სტანდარტებს.
- 5.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებული უნდა იყოს დოკუმენტაციაში აღნიშნული ნორმების, წესების და მითითებების დაცვით.
- 5.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებული უნდა იყოს უსაფრთხოდ, ეკოლოგიურად მისაღები გზით და მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი მუშაობით გამოწვეული ხმაური, ვიბრაცია და მტვრის გავლენა. აგრეთვე, სამუშაოების დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილი უნდა იქნას გარემოს სათანადო აღდგენა.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 შემსყიდველის მიერ სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც სამუშაოს შესრულების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
- 6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს/განახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის სამშენებლო განყოფილების თანამშრომელი დავით ლომიძე, და ამავე განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იროდიონ ენუქიძე.

- 6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით შესრულებული სამუშაო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგინდეს ვადებში გამოასწოროს წუნის ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ამ წუნდებული სამუშაოს ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოს ღირებულება.
- 6.4 თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.
- 6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს შესრულებული სამუშაო იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები შესრულებულია დარღვევით, რომლებიც გამორიცხავენ ობიექტის დანიშნულებისამებრ გამოყენებას ან შემსყიდველის მხრიდან მოითხოვს დამატებითი ხარჯების გაწევას ობიექტის საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
- 6.6 შესრულებული სამუშაოს, მიღება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელმოწერით დადასტურებული ფორმა N2-ის საფუძველზე.
- 6.7 ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, სამუშაოების მიღებასთან ერთად დასტურდება შესრულებულ სამუშაოზე კონტროლის განხორციელება.
- 6.8 ის პერიოდი, რომელიც სჭირდება შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შესახებ ექსპერტიზის სამსახურის მიერ ექსპერტიზის დასკვნის შედგენასა და შედეგების შესახებ მიმწოდებლისათვის შეტყობინებაში არ ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.9 ექსპერტიზის სამსახურის მიერ ექსპერტიზის დასკვნის და ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შედეგად თუ აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია ხარვეზით, არასრულად და არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, ხოლო ამ მუხლის 6.8 პუნქტით განსაზღვრული ვადების ათვლის გათვალისწინებით მიმწოდებლის მხრიდან ადგილი აქვს ან შესაძლოა ქონდეს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადებში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ათვლა განხორციელდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების შედეგების შესახებ წერილობითი შეტყობინების დღიდან.

7. ანგარიშსწორება

- 7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
- ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
- ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
- 7.1. შესასრულებელ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდეს ეტაპობრივად: სამუშაოების დასრულების შემდეგ წარმოდგენილ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე (ფორმა N2) 90%-ის ოდენობით, ხოლო დარჩენილი 10%-ის ანაზღაურება განხორციელდეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დამადასტურებელი დასკვნის საფუძველზე.
- 7.2. პრეტენდენტის მოთხოვნისა და შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია ანგარიშსწორება განხორციელდეს ხელშეკრულების ღირებულების 90%-მდე ავანსად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 8.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში იმ ხელისშემშლელი გარემოებების გამოვლენისას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარეები დაუყოვნებლივ ატყობინებენ ერთმანეთს წერილობით შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღები მხარე ვალდებულია შეძლებისდაგვარად მოკლე დროში აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევისას მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

- 9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა **ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით**.
- 9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დადასტურებული ხელმოწერით.
- 10.2 წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის წარმოშობისას, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

- 12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
- 12.2 თუ მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით გადაწყვეტაზე, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და გამოიყენოს 9.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია. აღნიშნულის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.
- 12.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.
- 12.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2024 წლის 30 აპრილის ჩათვლით**.

14. ფორს-მაჟორი

- 15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
- 15.2 წინამდებარე ხელშეკრულებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

- 16.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომელიც მხარეების მიერ დადასტურებულია ელექტრონული კვალიფიციური ხელმოწერით/შტამპით.

სის-ს ტერიტორიაზე (ქ. ქუთაისი) არსებული შენობა-ნაგებობის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	საფუძველი	სამუშაოების დასახელება	კან.ხ.	ნორმატიული რესურსი		მასალა		ხელფასი		მანქანა მქეპანიზმები		ჯამი
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1. დემონტაჟი												
1	46-28-4	პლასტიკატის სახურავის დემონტაჟი შრომითი რესურსი სხვა მატანები	მ ² კაც/სთ ლარი		270.00 0.16 42.93 0.02 4.59			7.50	321.98		4.00 18.36	321.98 18.36
2	46-27-4	სახურავის ხის კონსტრუქციის დემონტაჟი შრომითი რესურსი სხვა მატანები	მ ² კაც/სთ ლარი		270.00 0.52 139.32 0.10 28.08			7.50	1,044.90		4.00 112.32	1,044.90 112.32
3	46-32-1	ფანჯრის ბლოკის დემონტაჟი შრომის დანახარჯები სხვა მატანა	მ ² კაც/სთ ლარი		1.00 1.7 1.70 0.0984 0.10			7.50	12.75		4.00 0.39	12.75 0.39
4	46-15-2	კედლებიდან ნესტისგან დაზიანებული ნაღესის მოხსნა შრომითი რესურსი სხვა მატანები	მ ² კაც/სთ ლარი		300.00 0.19 55.80 0.00 0.48			7.50	418.50		4.00 1.92	418.50 1.92
5	27-9-4	ასფალტის ფენის დემონტაჟი პნევმო ჩაქუჩით შრომითი რესურსი სანგურევი ჩაქუჩი	მ ³ კაც/სთ ლარი		1.05 1.60 1.68 0.775 0.814			7.50	12.60		10.00 8.14	12.60 8.14
6	1-79-9	III კატეგორია გრუნტის დამუშავება ხელით შრომითი რესურსი	მ ³ კაც/სთ		5.25 4.24 22.260			7.50	166.95			166.95
7	რ21-87	შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგებობისგან შრომითი რესურსი	ტ კაც/სთ		60.00 1.85 111.00			7.50	832.50			832.50
8	E1-22 2a	სამშენებლო ნაგების დატვირთვა ხელით ავტოთვიმცელზე შრომითი რესურსი	კაც/სთ		60.00 0.67 40.20			7.50	301.50			301.50
9	საბაზრო	სამშენებლო ნაგების გატანა 20 კმ-ზე	ტ		60.00						12.80 768.00	768.00
		ჯამი							3,111.68		909.13	4,020.81
2. სამშენებლო სამუშაოები												
1	15-164-8	ლითონის კონსტრუქციის შეღებვა ანტიკორუზიული საღებავით შრომითი რესურსი სხვა მატანა ზეთოვანი საღებავი გამხსნელი სხვა მასალა	მ ² კაც/სთ ლარი კგ კგ ლარი		105.00 0.68 71.40 0.00 0.03 25.83 2.84 0.00 0.20 4.00 0.80			7.50	535.50		4.00 0.13	535.50 0.13 167.90 17.01 0.80
2	10-36-5	ხის ფიტრები მლარტყვა სისქით 40მმ შრომითი რესურსი სხვა მატანა 40მმ ფიცარი თვითმტრელები სხვა მასალა	მ ² კაც/სთ ლარი მ ³ კგ ლარი		270.00 1.00 270.00 0.043 11.61 3.30 670.00 2,211.00 0.11 30.24 4.70 142.13 13.50 4.00 54.00			7.50	2,025.00		4.00 46.44	2,025.00 46.44 2,211.00 142.13 54.00
3	ГЭСН 12-01-023-01	სახურავის მოწყობა მთლიანად თუნუქით (პროფანასტილი) შრომის დანახარჯები ამწე სააგრომობილო ხელაზე 10ტ ბორტიანი აგრომობილი 5ტ ელექტრო სახრახნისი თვითმტრელი 4.8*50 მთლიანად თუნუქი 0.47 მმ	მ ² კაც/სთ მანქ/სთ მანქ/სთ მანქ/სთ ც მ ²		270.00 1.00 270.00 0.00 0.78 0.00 1.08 0.02 6.51 6.45 1741.50 0.10 174.15 1.17 315.90 17.00 5,370.30			7.50	2,025.00		40.00 31.32 31.32 38.00 41.04 41.04 5.00 32.54 174.15 5,370.30	
4	11-9-3	ბოქსების თასზე ფიტრებით მლარტყვა სისქით 25მმ შრომითი რესურსი სხვა მატანა 25მმ ფიცარი ანკერ ჭანჭიკი 12*120მმ სხვა მასალა	მ ² კაც/სთ ლარი მ ³ ცალი ლარი		410.00 1.00 410.00 0.0099 4.06 0.0082 3.36 670.00 2,252.54 0.50 200.00 2.50 4.00 10.00			7.50	3,075.00		4.00 16.24	3,075.00 16.24 2,252.54 200.00 10.00
5	ГЭСН 12-01-023-01	ბოქსების თასზე სახურავის მოწყობა მთლიანად თუნუქით (პროფანასტილი) შრომის დანახარჯები ამწე სააგრომობილო ხელაზე 10ტ ბორტიანი აგრომობილი 5ტ ელექტრო სახრახნისი თვითმტრელი 4.8*50 მთლიანად თუნუქი 0.47 მმ	მ ² კაც/სთ მანქ/სთ მანქ/სთ მანქ/სთ ც მ ²		410.00 1.00 410.00 0.00 1.19 0.00 1.64 0.02 9.88 6.45 2644.50 0.10 264.45 1.17 479.70 17.00 8,154.90			7.50	3,075.00		40.00 47.56 47.56 38.00 62.32 62.32 5.00 49.41 264.45 8,154.90	
6	საბაზრო	ლით. კუთხოვნა	გრძ/მ		12.00		10.00	120.00	-	-	-	120.00
7	საბაზრო	ანჯამა	ცალი		2.00		20.00	40.00	-	-	-	40.00
8	საბაზრო	ელექტროდი	კგ		5.00		4.00	20.00	-	-	-	20.00
8	საბაზრო	ლითონის ფუცლი	მ/2		4.00		17.00	68.00	-	-	-	68.00
9	საბაზრო	ლითონის კარის მოწყობა ლითონის ჭიშკარში	მ/2		1.80				7.50	13.50	-	13.50
10	საბაზრო	ლით კარის საკეტი	ცალი		1.00		85.00	85.00	-	-	-	85.00

11	15-164-8	ლითონის კარების დამუშავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა ზეთოვანი საღებავი გამსხნელი სხვა მასალა	მ ² კაც/სთ ლარი მ ² მ ² ლარი	0.6800 0.0003 0.2460 0.0270 0.0019	17.00 0.01 6.15 0.68 0.05		6.50 39.98 6.00 4.00	7.50	127.50	4.00	0.03	- 127.50 0.03 39.98 4.05 0.19
12	ГЕЧН 10-01-046-01	ლითონის ჭიშკრის მონტაჟი შრომის დანახარჯი ამწე სააგრომობილო ხელაზე 10ტ ელ. შეღებვის აპარატი მუდმივი ძაბვ აგრომობილო პორტიანი თეთამწეობით 5ტ-მდე ელექტროდი ზეთოვანი საღებავი	მ ² კაც.ს მაქ.ს მაქ.ს ტ ტ	2.29 0.02 0.51 0.03 0.000116 0.000224	27.44 0.23 6.12 0.34 0.001396 0.002688		4,000.00 8,500.00	7.50	205.79	40.00 10.00 38.00	9.26 61.18 12.77	205.79 9.26 61.18 12.77 5.58 22.85
13	9-14-5	მეტალოპლასტმასის ფანჯარის მოწყობა ერთმაგი მინით შრომის დანახარჯები მეტალოპლასტმასის ფანჯრა ერთმაგი მინით სხვა მასალა	მ ² კაც/სთ მ ² ლარი	2.72 1.00 0.66	2.72 1.00 1.78	150.00	150.00 7.14	7.50	20.40			20.40 150.00 7.14
14	10-20-1	არსებული მეტალოპლასტმასის კარებების მოწყობა შრომითი რესურსები სხვადასხვა მანქანები სხვადასხვა მასალები	კაც/სთ ლარი ლარი	1.00 0.35 0.28	4.00 1.41 1.10	4.00	4.42	7.50	30.00	4.00	5.65	30.00 5.65 4.42
15	15-52-1	კედლების შეღებვა ცემენტის ხსნარით შრომის დანახარჯები სხვა მანქანა ქვიშა-ცემენტი ხსნარი	მ ² კაც/სთ ლარი კუბ.მ	1.00 0.03 0.03	60.00 1.56 1.80	100.00	180.00	7.50	450.00	4.00	6.24	450.00 6.24 180.00
16	11-8-1, 11-8-2	ცემენტის ხსნარით მოჭიმვა სისქით 20-50 მმ (ერთსართულიანი შენობის შემთხვევაში) შრომის დანახარჯები სხვადასხვა მანქანები ნორმით ცემენტის ხსნარი მ100 სხვადასხვა მასალა ნორმით	მ ² კაც/სთ ლარი მ ³ ლარი	1.00 0.02 0.05 0.06	12.00 0.25 0.55 0.76	100.00	55.08 3.05	7.50	90.00	4.00	1.01	90.00 1.01 55.08 3.05
17	11-30-6	არსებული კერამო გრანიტის ფილებით იატაკის მოწყობა შრომის დანახარჯები სხვა მანქანა წებოცემენტი სხვა მასალა	მ ² კაც/სთ ლარი მ ² ლარი	1.00 0.04 5.00 0.04	12.00 0.42 60.00 0.52	0.70 4.00	42.00 2.06	7.50	90.00	4.00	1.68	90.00 1.68 42.00 2.06
18	საბაზრო	დაბრესილი (მსხვილი ბურბუშელით) ხის ფილა ოსბზომით 2440*1220*12 მმ ფილით ჭერის მოწყობა შრომის დანახარჯები ხის ფილა ოსბზომით 2440*1220*12 მმ UD პროფილი CD პროფილი CD პროფილის გადასაბმელი CD პროფილის საკიდი შურუპი TN 25 შურუპი LN 9 რკინის ღებელი გამკვდი ღებელი K 6/35	მ ² კაც/სთ მ ² ცალი გრძ.მ ცალი ცალი ცალი ცალი ცალი ცალი ცალი	1.00 1.10 2.90 0.20 0.70 23.00 1.40 0.70 100.00	12.00 13.20 6.00 34.80 2.40 8.40 276.00 16.80 8.40 100.00	25.00 330.00	15.00 87.00 4.80 8.40 13.80 0.34 2.52 30.00	7.50	90.00			90.00 330.00 15.00 87.00 4.80 8.40 13.80 0.34 2.52 30.00
22	12-8-4	დასაკიდი წყალშემკრები ღარების მოწყობა მთითიებული თუნუქისაგან სისქით 0,50 მმ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მთითიებული თუნუქი, 0,50 მმ ლურსმანი ჭანჭიკი ნაჭედი	გრძ.მ კაც/სთ ლარი ტ მ ² მ ² მ ²	0.2860 0.0041 0.0023 0.0380 0.0380 1.6900	8.58 0.12 0.07 1.14 1.14 50.70	3,512.60	242.37 5.36 5.36 238.29	7.50	64.35	4.00	0.49	64.35 0.49 242.37 5.36 5.36 238.29

28	16-17-4	წყალმიმღები ძაბრების მოწყობა თუნუქით სისქით 0.50 მმ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა წყალმიმღები ძაბრები თუნუქისაგან 0.50 მმ სხვა მასალა	ცალი		2.00								-	
			კაც/სი	1.5100	3.02			7.50	22.65					22.65
			ლარი	0.0200	0.04					4.00		0.16		0.16
			ცალი	1.0000	2.00	34.00	68.00							68.00
		ლარი	0.2900	0.58	4.00	2.32						2.32		
27	12-8-3	წყალსაწრეტი მიღების მოწყობა მოთუთიებული თუნუქისაგან სისქით 0.50 მმ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა წყალსაწრეტი მიღები მოთუთიებული თუნუქისაგან 0.50 მმ ლურსმანი ჭანჭიკი ნაჭედი სხვა მასალა	გრძ.მ		8.00								-	
			კაც/სი	0.7400	5.92			7.50	44.40					44.40
			ლარი	0.0662	0.53					4.00		2.12		2.12
			გრძ.მ	1.0500	8.40	18.00	151.20							151.20
			კმ	0.1280	1.02	4.70	4.81							4.81
			კმ	0.1280	1.02	4.70	4.81							4.81
			კმ	0.1120	0.90	4.70	4.21							4.21
		ლარი	0.1330	1.06	4.00	4.26						4.26		
29	16-17-4	წყალმიმღები მუხლების მოწყობა თუნუქისაგან შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მუხლი თუნუქისაგან სხვა მასალა	ცალი		2.00								-	
			კაც/სი	1.5100	3.02			7.50	22.65					22.65
			ლარი	0.0200	0.04					4.00		0.16		0.16
			ცალი	1.0000	2.00	18.00	36.00							36.00
		ლარი	0.2900	0.58	4.00	2.32						2.32		
19	11-1-6	იატაკზე ღორღის საფუძვლის მოწყობა შრომის დანახარჯები სხვა მანქანა ღორღი სხვა მასალა	მ ³		1.05								-	
			კაც/სი	3.52	3.70	-	-	7.50	27.72					27.72
			ლარი	1.06	1.11	-	-			4.00		4.45		4.45
			მ ³	1.24	1.30	22.00	28.64							28.64
		ლარი	0.02	0.02	4.00	0.08						0.08		
20	1-81-3	გრუნტის უკუჩაყრა ხელით, ჩატკენით საბაზრო შრომის დანახარჯები	კაც-სი	1	3.50			7.50	26.25			26.25		
21	"27-39-1,2 საბაზრო საბაზრო სრფვ.3-3	ასფალტობეტონის საფარის მოწყობა სისქით 5 სმ შრომის დანახარჯები სატკეპნი 10ტ ასფალტი სხვა მასალა	მ ²		10.50								-	
			კაც/სი	1	10.50	-	-	7.50	78.75					78.75
			მანქ/სი	1	10.50	-	-			30.00		315.00		315.00
			ტ	0.17	1.79	140.00	249.90							249.90
		ლარი	0.0157	2.04	4.00	8.16						8.16		
		ჯამი					21,416.53		12,139.46		747.18	34,303.17		
		2 თავის ჯამი						15,251.14		1,656.31		38,323.98		
		სატრანსპორტო ხარჯები მასალებზე	5%									1,070.83		
		ჯამი										39,394.80		
		ზედნაღები ხარჯები	10%									3,939.48		
		ჯამი										43,334.28		
		გეგმიური დაგროვება	8%									3,466.74		
		ჯამი										46,801.02		
3. ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები														
1	8-612-9	კედლის პლასმასის კარადის მონტაჟი ავტომომრთველებისთვის შრომითი რესურსი სხვა მანქანები სხვა მასალები 8 ადგილიანი პლასმასის კარადა	ცალი		1.00								-	
			კაც/სი	2.71	2.71			7.50	20.33					20.33
			ლარი	0.06	0.06					4.00		0.24		0.24
			ლარი	0.94	0.94	4.00	3.76							3.76
		ცალი	1.00	85.00	85.00							85.00		
2	21-24-1	ავტომატური ამომრთველების მონტაჟი შრომითი რესურსი ავტომატური ამომრთველი 32A 2პოლუსიანი ავტომატური ამომრთველი 25A 1პოლუსიანი სხვა მასალები	ცალი		7.00								-	
			კაც/სი	1.99	13.93			7.50	104.48					104.48
			ცალი		1.00	50.00	50.00							50.00
			ცალი		6.00	25.00	150.00							150.00
		ლარი	1.39	9.73	4.00	38.92						38.92		
3	8-402-2	სპილენძის სადენის მონტაჟი შრომითი რესურსი სხვა მანქანები სპილენძის სადენი 3*4მმ სპილენძის სადენი 3*2.5მმ სხვა მასალები	გრძ/მ		240.00								-	
			კაც/სი	0.13	31.20			7.50	234.00					234.00
			ლარი	0.04	8.90					4.00		35.62		35.62
			გრძ/მ		40.00	4.70	188.00							188.00
		გრძ/მ		200.00	2.80	560.00						560.00		
		ლარი	0.01	3.46	4.00	13.82						13.82		
4	8-418-1	ტოფირებული მილების გატარება ჭერში და კედლებში შრომითი რესურსი სხვა მანქანები ტოფირებული მილი დ=20 სხვა მასალები	გრძ/მ		240.00								-	
			კაც/სი	0.15	36.00			7.50	270.00					270.00
			ლარი	0.00	0.41					4.00		1.63		1.63
			გრძ/მ		240.00	0.50	120.00							120.00
		ლარი	0.01	2.76	4.00	11.04						11.04		

5	8-591-8	გარეთა მიყენების საშტეტსელო რეზერვების მონტაჟი შრომითი რესურსი სხვა მანქანები ორპოლუსიანი რეზერტი სხვა მასალები	ცალი		4.00									
			კაც/სი	0.34	1.36			7.50	10.20					10.20
			ლარი	0.01	0.05					4.00		0.21		0.21
			ცალი		4.00	8.00	32.00							32.00
ლარი	0.09	0.38		4.00	1.50							1.50		
6	8-591-3	გარეთა მიყენების ჩამრთველების მონტაჟი შრომითი რესურსი სხვა მანქანები ერთკლავიანი ჩამრთველი სხვა მასალები	ცალი		3.00									
			კაც/სი	0.68	2.04			7.50	15.30					15.30
			ლარი	0.01	0.03					4.00		0.13		0.13
			ცალი		3.00	8.00	24.00							24.00
ლარი	0.10	0.31		4.00	1.24							1.24		
7	21-28-3	გარეთა მიყენების ღვედ სანათების მონტაჟი შრომითი რესურსი სხვა მანქანები ღვედ სანათი 32W ღვედ სანათი 9W სხვა მასალები	ცალი		33.00									
			კაც/სი	3.41	112.53			7.50	843.98					843.98
			ლარი	0.04	1.16					4.00		4.62		4.62
			ცალი		30.00	43.00	1,290.00							1,290.00
			ცალი		3.00	30.00	90.00							90.00
			ლარი	0.63	20.63		4.00	82.50						82.50
ჯამი						2,741.78	1,498.28		42.45	4,282.51				
სატრანსპორტო ხარჯები მასალებზე			5%								137.09			
ჯამი											4,419.60			
ზედნაღები ხარჯები			70%								1,048.79			
ჯამი											5,468.39			
გეგმიური დატოვება			8%								437.47			
ჯამი											5,905.86			
4. სანტექნიკური სამუშაოები														
1	16-6-2	ღ=100მმ კანალიზაციის პლასტმასის მილის ჩადება თხრილში შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მილი ღ=100 მმ სხვა მასალა	გრძ.მ		35.00									
			კაც/სი	0.58	20.41			7.50	153.04				153.04	
			ლარი	0.00	0.16					4.00		0.64	0.64	
			გრძ.მ	1.00	35.00	8.00	280.00						280.00	
ლარი	0.16	5.60		4.00	22.40						22.40			
2	16-6-1	კანალიზაციის პლასტმასის მილი ღ=50მმ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მილი ღ=50მმ სამაგრი სხვა მასალა	გრძ.მ		2.00									
			კაც/სი	0.61	1.22			7.50	9.14				9.14	
			ლარი	0.0020	0.0040					4.00		0.02	0.02	
			გრძ.მ	1.00	2.00	4.00	8.00						8.00	
			სამაგრი	0.14	0.28	4.70	1.32						1.32	
			ლარი	0.16	0.32	4.00	1.28						1.28	
3	22-23-3. საბაზრო	ფასონური ნაწილების მოწყობა შრომითი რესურსები სხვა მანქანა სხვა მასალა მუხლი ღ=100 მუხლი ღ=50 უნიტაზიან მისაერთებელი გოფრე მილი მუხლი ღ=50/45 სამკაპი ღ=100/50/45	ცალი		10.00									
			კაც/სი	3.89	38.90			7.50	291.75				291.75	
			ლარი	1.51	15.10					4.00		60.40	60.40	
			ლარი	0.24	2.40		4.00	9.60					9.60	
			ცალი		3.00	8.00	24.00						24.00	
			ცალი		4.00	4.00	16.00						16.00	
			ცალი		1.00	15.00	15.00						15.00	
			ცალი		1.00	4.00	4.00						4.00	
			ცალი		1.00	8.00	8.00						8.00	
			ცალი		1.00	8.00	8.00						8.00	
4	16-24-2	მილი პოლიპროპილენის წყლის ღ=20მმ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მილი პოლიპროპილენის წყლის ღ=20Xმმ სხვა მასალა	გრძ.მ		10.00									
			კაც.-სი	1.43	14.30			7.50	107.25				107.25	
			ლარი	0.03	0.26					4.00		1.03	1.03	
			გრძ.მ	0.93	9.29	2.50	23.23						23.23	
ლარი	0.05	0.46		4.00	1.83						1.83			
5	16-12-1	გენტილი ღ=20მმ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა გენტილი ღ=20მმ სხვა მასალა	ც		1.00									
			კაც/სი	1.51	1.51			7.50	11.33				11.33	
			ლარი	0.13	0.13					4.00		0.52	0.52	
			ც		1.00	8.00	8.00						8.00	
ლარი	0.07	0.07		4.00	0.28						0.28			
6	საბაზრო	მუხლი პლასტმასის ღ=20მმ	ცალი		5.00	0.50	2.50				2.50			
7	საბაზრო	მუხლი შიდა რეზბით პლასტმასის ღ=20მმ	ცალი		2.00	4.00	8.00				8.00			
8	საბაზრო	სამკაპი პლასტმასის ღ=20X20მმ	ცალი		1.00	0.50	0.50				0.50			
9	საბაზრო	ქურღ ღ=20მმ	ცალი		2.00	0.50	1.00				1.00			
10	საბაზრო	გაშლილი მუხლი ღ=20მმ	ცალი		2.00	0.50	1.00				1.00			

11	17-1-5	არსებული ხელსაბანი ახალი სიფონით და ონკანით შრომის დანახარჯები	კომპლ		1.00							
		სხვა მანქანა	ლარი	1.00	1.00			7.50	7.50			7.50
		ხელსაბანის სიფონი და ონკანი	ლარი	0.07	0.07					4.00	0.28	0.28
		სხვა მასალა	ლარი	1.00	1.00	85.00	85.00					85.00
12	17-4-1	უნიტაზის (ჩამრეცხი აეზით) მოწყობა შრომის დანახარჯები	კომპლ		1.00							
	საბაზრო	სხვა მანქანა	ლარი	1.00	1.00			7.50	7.50			7.50
		უნიტაზი	კომპლ	0.13	0.13					4.00	0.52	0.52
		სხვა მასალა	ლარი	1.00	1.00	170.00	170.00					170.00
		ჯამი	ლარი	0.94	0.94	4.00	3.76					3.76
		ჯამი					696.17		587.50		63.41	1,347.07
		სატრანსპორტო ხარჯები მასალებზე	5%									34.81
		ჯამი										1,381.88
		ზედნადები ხარჯები შიდა სანტექნიკურ სამუშაოებზე	12%									165.83
		ჯამი										1,547.71
		გეგმიური დაგროვება	8%									123.82
		ჯამი										1,671.53
		ყველა თავის ჯამი										54,378.41
		გუთვალისწინებელი ხარჯი	5%									2,718.92
		ჯამი										57,097.33
		დროებითი საპენსიო გადასახადი	2%					17,336.91				346.74
		ჯამი										57,444.07
		დ-ღ-გ.	18%									10,339.93
		ჯამი										67,784.00

გეგმა-გრაფიკი								
№	სამუშაოს დასახელება			კალენდარული დღეები				
				1-10	11-20	21-30	31-40	41-45
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	დემონტაჟი							
2	სამშენებლო სამუშაოები							
3	ელექტროსამონტაჟო სამუშაოები							
4	სანტექნიკური სამუშაოები							

შემსყიდველი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი

სერგო ჯანელიძე

მიმწოდებელი

შპს „ტაინა“
დირექტორი

ვასილი გეთიაშვილი